

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №900

ქ. ბათუმი, 26 აგვისტო 2020წ

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 30 დეკემბრის №1849 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 30 დეკემბრის №1849 ბრძანებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) პირველ პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები (გარდა უფროსისა) - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46⁵, 46⁶, 172⁸ და 172⁹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.“.

ბ) მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „2“ პუნქტი:

„2“. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განხილავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსი.“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

არჩილ ჩიქოვანი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ